

### ომან გოგოლაური

შინაგანი გრაფიკული ბრძოლა სამცხე-საათაბაგოში  
XVI ს-ის 70-იან წლებში და პოლიტიკური ორიენტაცია

### მოკლე შინაარსი

XVI საუკუნე, თავის მდიდარი ისტორიული მოვლენებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხანაა საქართველოს ისტორიაში, რომელიც მკვეთრად განსხვავდება წინა საუკუნეებისაგან. XVI საუკუნე ეს არის ერთის მხრივ ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის ისტორია, მეორე მხრივ კი შიდა „საქართველოების“ ურთიერთდაპირისპირება, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ზოგადად ქართული პოლიტიკის, როგორც საშინაო, ასევე საგარეო კურსის განსაზღვრაში.

გარდა ქართული პოლიტიკური ერთულების ურთიერთდაპირისპირებისა, ამავე საუკუნეში მიმდინარეობდა შიდაპოლიტიკურ ბრძოლას სამცხე-საათაბაგოში, რომელიც ოცი თვის განმავლობაში გაგრძელდა.

წინამდებარე ნაშრომი, სწორედ XVI საუკუნის 70-იან წლებში სამცხეში მომხდარ შიდაფეოდალურ დაპირისპირებას და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ ორიენტაციას ეხება.

გამოქვეყნებული ქართული, უცხოური წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ვარაზა შალიგაშვილის მკვლელობისა და სამცხეში შაპ-თამაზის ლაშქრობის შედეგად აჭარას თავშეფარებულმა ათაბაგის სახლის წევრებმა ოსმალების თანხმობით მაინც მოახერხეს ათაბაგის ტახტის დაკავება. მიუხედავად ამისა, შაპ-თამაზის სიკვდილის შემდეგ სამცხეს პოლიტიკური მეცვეურებისთვის პროირანული პოლიტიკური ორიენტაცია დღის წესრიგიდან არ მოხსნილა, რაც ნათლად გამოჩნდა სამცხეში შიდაფეოდალური დაპირისპირების დროს, როდესაც ათაბაგის სახლმა რამდენიმე ელჩობა განახორციელა შაპის კარზე. ირან-ოსმალეთის ახალი ომის დაწყებისა და ოსმალეთის მძღავრობის შედეგად ათაბაგის სახლი იძულებული გახდა პროტერქული ორიენტაცია აედო, რასაც მოვლენათა განვითარების შედეგად მოჰყვა პროირანულით ჩანაცვლება.

**საქანძო სიტყვები:** სამცხე-საათაბაგო, ქართლი, ირანი, ოს-  
მალეთი, დედისიმედი, მანუჩარი, ყვარყვარე, შაჰ-თამაზი, სულ-  
თანი, ვარაზა შალიკაშვილი

*Roman Gogolauri*

## **INTER FEUDAL BATTLE IN SAMTSKHE-SAATABAGO IN XVI<sub>S</sub> 70<sup>TH</sup> YEARS AND POLITICAL ORIENTATION**

### *Abstract*

XVI century rich with its historical movements and one of the most important epochs in the history of Georgia and it completely differs from previous centuries. XVI century is the period of from the one side great battles with Iran and Ottomans, and on the other side it is the battle between Georgians and this play bad role in the Georgian Politics as in inside the country as outside the country, on the defining of international course of the country.

Beside the fact of controversy of Georgian nations, in this century it was inside battles in Samtskhe-Saatabago which last twenty months.

Our article is dedicated to the processes taken place in XVI<sub>S</sub> century's 70<sup>th</sup> year in Samtskhe during inter feudal controversy and we focus on the parallel processes of political orientations.

According the critical analyses of Georgian and foreign sources and special literature we confirm that after murdering Varaza Shalikashvili and Shah Tamaz invasion of Saatabago, family members of Atabagi home, still were able to conquer the throne of Atabagians. In spite of the fact after death of Shah Tamaz the leader of Samtskhe's political parties pro Iran orientation still was actual. The confirmation of this idea is the fact of the controversy of inter feudal time. Atabagi's family sent several ambassadors to the shah. After starting Iran Ottomans new battle the influence of Ottomans gathered and as a result Atabag's family had to change the political orientation from Iran to Turkey.

**Key Words:** Samtskhe-Saatabago, Kartli, Iran, Ottomans, Dedisimedi, Manuchari, Kvarkvare, Shah Tamaz, Sultan, Varaza Shalikashvili

**შესავალი.** XVI საუკუნე, თავის მდიდარი ისტორიული მოვ-  
ლებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხანაა საქართველოს ის-  
ტორიაში, რომელიც მკვეთრად განსხვავდება წინა საუკუ-  
ნებისაგან. XVI საუკუნე ეს პის ერთის მხრივ ირანისა და

ოსმალეთის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის ისტორია, მეორე მხრივ კი შიდა „საქართველოების“ ურთიერთდაპირის-პირება, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ზოგადად ქართული პოლიტიკის, როგორც საშინაო, ასევე საგარეო კურსის განსაზღვრაში.

გარდა ქართული პოლიტიკური ერთულების ურთიერთდაპირისპირებისა, ამავე საუკუნეში მიმდინარეობდა შიდაპოლიტიკურ ბრძოლას სამცხე-საათაბაგოში, რომელიც ოცი თვის განმავლობაში გაგრძელდა.

**მიზანი.** წინამდებარე ნაშრომი, სწორედ XVI საუკუნის 70-იან წლებში სამცხეში მომხდარ შიდაფეოდალურ დაპირისპირებას და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ ორიენტაციას ეხება.

**მსჯელობა.** ვიდრე უშუალოდ კონკრეტულ საკითხზე გადავიდოთ, აღნიშნავთ, რომ XVI საუკუნის შუა ხანებში სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურმა მესვეურებმა საგარეო ვექტორი ორჯერ შეცვალეს. პირველად 1545 წელს სოხოისტის ბრძოლის დროს, როდესაც ჯერ კიდევ „უგვირგვინო“ ქაიხოსრო ოსმალთა მხარეზე მოქმედებდა, რასაც ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს. ამის შედეგად ქაიხოსრომ, რომელსაც მხარში ედგა დიდი მექსი ფეოდალი ოთარ შალიკაშვილი, ათაბაგის გვირგვინი მოირგო თავზე. ამასთანავე ოსმალეთისთვის, რომლის იმპერიაც ამ დროს უკვე სამ კონტინენტზე იყო დაფუძნებული, უცნობი არ უნდა ყოფილიყო ზოგადად საქართველოს, კერძოდ კი სამცხე-საათაბაგოს გეოსტრატეგიული მდებარეობა, რომელიც აღმოსავლეთში მისი მთავარი მეტოქის - ირანისკენ მიმავალ გზას აკონტროლებდა. მკვლევარ გ. ტივაძის შენიშვნით: „...ირანთან მომავალი ბრძოლა ოსმალეთის-თვის წარმატებით ჩატარდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამიერკავკასია და განსაკუთრებით კი მასში შემავალი კარი - სამცხე-საათაბაგო, ოსმალეთის სრულ მორჩილებაში იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ოსმალთა კომუნიკაციები ზურგიდან განადგურდებოდა და, ამდენად, სამცხე-საათაბაგოში დამოუკიდებელი ქართული მართვა-გამგეობის არსებობა ოსმალთათვის დიდ საშიშროებას ჰქმნიდა (ტივაძე, 1947:136). ამავე დროს, 1548 წელს ოსმალეთმა დიდი ლაშქრობა მოაწყო აღმოსავლეთში და თავრიზი დაიკავა. სულთნის ჯარი ირანის სიდრმეში შეიჭრა და დროებით დაიკავა ისპაჰანი. ასეთ ვითარებაში ოსმალებმა ნელ-ნელა დაიწყეს საათაბაგოს ცალკეუ-

ლი მხარეების უშუალო დაქვემდებარება. 1550 წელს ოსმალებმა ტაო დაიკავეს, 1553 წელს არტანუჯი დაიპყრეს და არსიანამდის დაიკავეს სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიები. ამასთანავე, ჯავახეთის გავლენიანმა თავაღებმა ვახუშტი დიასამიძის და ამაონის? მეთაურობით დაიწევეს ბრძოლა ათაბაგის წინა-აღმდეგ და კავშირი დაამყარეს ქართლის მეფე ლუარსაბოან. მათ დაიკავეს ვარძია, ვანის ქვაბები, ასევე მათი მომხრევის ხელში აღმოჩნდა თმოგვის, ასკინძისა და ვარნეთის ციხეები. შექმნილ სიტუაციაში ქაიხოსრო ათაბაგმა კურსი ირანისაკენ აიღო და შაპ-თამაზს დახმარება სოხოვა. შაპმაც არ დააყოვნა და ორჯერ 1551 და 1554 წელს სამცხესა და ქართლში ილაშქრა. ათაბაგისა და შაპ-თამაზის ურთიერთობა განმტკიცდა მათი დამოყვრებითაც. შაპმა ათაბაგს ცოლად სოხოვა მისი ქალიშვილი. რახან მას თავისი არ ჰყავდა „...და ენათესავებოდა ოთარი შალიკაშვილი ათაბაგსა, ამისთვის ნებაყოფლობით გამოართვა ქალი და ნათესავად თქსად გაუგზავნა ყაენს და ყაენმა შეირთო ცოლად (ქართლის ცხოვრება, 1959: 364).

ქაიხოსრო ათაბაგის პროირანულმა ორიენტაციამ ოსმალეთი კიდევ უფრო გააღიზიანა და მათ ტაოს შემდეგ შავშეთი და კლარჯეთიც დაიპყრეს. ჯერი სამცხეზე მიდგა. ოსმალთა მთავრობისაგან შეწუხებულმა ათაბაგმა დახმარებისათვის კვლავ ირანის შაპს მიმართა და ყაზვინს გაემგზავრა. შაპისაგან დახმარების მიღებამდე ქაიხოსრო იქვე ყაზვინში 1573 წელს გარდაიცვალა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ დედისიმედი მონაზვნად აღიკვეცა დებორას სახელით (შარაშიძე, 1961: 44). ათაბაგის ტახტი დაიკავა დედისიმედის უფროსმა შვილმა ყვარყვარებმ, მაგრამ ვინაიდან იგი გამოუცდელი იყო, დედისიმედი კვლავ დაუბრუნდა პოლიტიკურ ცხოვრებას. თავდაპირველად ის სამთავროს განაგებდა ვარაზა შალიკაშვილთან ერთად. ვახუშტი ბატონიშვილი ამ ვაქტს ასე გაძმოგვცემს: „დაჯდა უფარყუარე ათაბაგად მე ქაიხოსროსი და ათაბაგობდა. არამედ დედისიმედი, დედა მისი, იყო პირველ და აწცა და ვარაზა ოთარ შალიკაშვილის მე მოქმედნი ყოვლისავე“ (ვახუშტი, 1979: 718). ვარაზას მამა ოთარ შალიკაშვილი სამცხის დიდი ფეოდალი, ათაბაგების სახლის ნათესავი და დედისიმედის მეუღლის ათაბაგ ქაიხოსრო II-ის უახლოესი თანამებრძოლი იყო. დედისიმედი წარმოშობით მუხრანბატონის ბაგრატის ქალიშვილი იყო. დედისიმედს ოთხი ძმა ჰყავდა - ერეკლე, არჩილი, აშოთანი და ვახტანგი. მათგან ერეკლე დე-

დისიმედის თანამებროლი იყო შინაგალი და ური ომის დროს. ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბატონიშვილი დედისიმედს უარყოფითად ახასიათებენ. ბერი ეგნატაშვილის შეფასებით დედისიმედი „იყო უჭქურ და უმეცარი, გლისპი და დმრთის უშიშარი ქალი“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 370). ვახუშტის ცხობით „რამეთუ ესე დედისიმედი იყო ამავი, გლისპი, მრის-ხანე და გაუსინჯავი“ (ვახუშტი, 1973: 719). მკველარი გ. ტივაძე არ ეთანხმება ზემოხსენებული ავტორების ასეთ შეფასებას და მას ტენდენციურს უწოდებს. „დედისიმედის საქმიანობის განხილვა გვიჩვენებს, დედისიმედი ენერგიული, მოხერხებული და სწორი პოლიტიკური ალღოს მქონე პიროვნება ყოფილა. დედისიმედის ზემოთხსენებული დახასიათება, როგორც „ქართლის ცხოვრებისა“, ისე სხვებისა იმდენად იდენტურია, რომ ცხადი ხდება ყველა მათგანის ერთი წეაროდან მომდინარეობა და ტენდენციური ხასიათი“ (ტივაძე, 1947: 142). მისივე აზრით „ქართლის ცხოვრების“ ერთი ნაწილის პირველწევარო, ეგრეთ წოდებული „მესხური დაგითნის“ ქრონიკა სრულებითაც არ იძლევა დედისიმედის ამგვარ დახასიათებას. ჩანს ამ ნაწილის გადმომტანმა „ქართლის ცხოვრებაში“ მე-16 საუკუნის ისტორიულ ქრონიკას თავისი შეხედულებები დაურთო, ხოლო გახუშტიმ იგი უნებლივით გაიმეორა (ტივაძე, 1947: 142-143). შემდეგ მპალევარი ეხება „მესხური დაგითნის“ ქრონიკას დაწერს, რომ „ლოგიკურადაც დაუშვევევლი იქნებოდა გვევიქრა, რომ დედისიმედის ასეთი უარყოფითი დახასიათება მოცემული ყოფილიყო ქრონიკის ავტორის მიერ, ვინაიდან, როგორც ეს საფუძლიანად დაგვიტექიცა ე. თაყაიშვილმა, „მესხური დავითნის“ ქრონიკის ავტორი უნდა ყოფილიყო ათაბაგ ქაიხოსროს ოჯახის ერთ-ერთი წევრთაგანი და, მაშასადამე, ოფიციალური პირიც, რომელსაც ათაბაგობის ფაქტიური ძალაუფლების მატარებლის დედისიმედის ასეთი უარყოფითი დახასიათების მიცემა არ შეეძლო იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც ეს გამომდინარე ყოფილიყო „მწარე სინამდვილიდან“ (ტივაძე, 1947: 143).

გ. ტივაძის ეს მოსაზრება გასაზიარებელია ამ შემთხვევაში, ვინაიდან დღეს ჩვენს ხელთ არსებული „მესხური დავითნის“ ქრონიკაში, რომელიც 12 ხელნაწერ გვერდს მოიცავს და 26 წლის ამბებია მოთხოვნილი, დედისიმედის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება არ შეინიშნება. მაგრამ, გასათვალისწინებულია ერთი გარემოება, კერძოდ ის ფაქტი, რომ ვახუშტი ბატონიშვილი, როდესაც მოსკოვში თავის ნაშრომს „აღწერა

სამეფოსა საქართველოსა“ წერდა, მას ხელთ პქნია სამცხე-საათაბაგოს ისტორიის ხუთი ტომი და აქედან სარგებლობდა. დასაშვებად მიგვაჩნია ის, რომ მომდევნო თავებში ყოფილიყო დედისიმედის მიმართ უარყოფითი დახასიათება და აქედან მომდინარეობდეს ყოველივე ის, რაც ბერი ეგნატაშვილს და ვახუშტი ბატონიშვილს აქვთ დაფიქსირებული დედისიმედის მიმართ. ყოველივე ეს კი მედავნდება დედისიმედის მიერ ოთარ შალიკაშვილის ვაჟის - ვარაზის მკვლელობასთან დაკავშირებით. ეს ამბავი უფრო დეტალურად აღწერილი აქვს ბერი ეგნატაშვილს. 1574 წელს გარდაიცვალა კახეთის მეფე ლევანი. ტახტი დაიკავა ალექსანდრემ, რომელსაც სულ ცოტა ხანში ვაჟი ერეკლე შემოსწყრა და სტამბოლში გაექცა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით ეს მომხდარა იმავე 1574 წელს. სპარსეთის შაჰმა ერეკლეს ასეთი მოქმედება ზოგადად კახეთის სამეფოს განდგომად შეაფასა, მის დასასჯელად გამოიქმართა და ყარაბაღში დადგა. კახეთის სამეფოს სახლოუცეცხლმა ოთარ ჩოლოფაშვილმა მეფეს აღუთქა, რომ კახეთს შაჰის რისხევას ააცილებდა. ვინაიდან მან იცოდა, რომ გარდაცვლილ ქაიხოსროს მცირეწლოვანი შვილები დარჩნენ, სამთავროს კი მისი ქერივი განაგებდა. ვინაიდან დედისიმედი იყო „უძოო, გლისპი ქალი“, ჩოლოფაშვილმა სცადა მასზე ზემოქმედება მოეხდინა და დედისიმედთან კაცი გაგზავნა წერილით, სადაც ეწერა: „ვარაზის შაჰთამაზ ყაენი მანდ მოჰყავსო, ნებავს ამოწყვეტა სამცხისო და ძისი შენისაო მანუჩარის სიკვდილით და მრავალგზით მოგაყივნა ქვეყანა ხედათ და თვითონ უნდა ეგ ქვეყანა დაიჭიროსო და მანდ გაბატონდესო. და დაიჭირე ვარაზა, მოჰკალ და მერმე შაჰ-თამაზ ყაენი ვეღარ მოვა და გაბრუნდება და წაგა და მორჩება ქვეყანაო“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 370). როგორც ტექსიდან ჩანს, დედისიმედსა და ვარაზის შორის არცთუ კეთილგანწყობა სუფევდა და ამის შესახებ კახეთის სამეფოშიც სცოდნიათ. დედისიმედმა დაიჯერა ყოველივე ეს და ვარაზა მოაკვლევინა. როგორც კი შეიტყო შაჰ-თამაზმა ვარაზის სიკვდილი, დატოვა კახეთი „...და შევიდა სამცხეს და მოაოჭრა და ამოსწყვიტა სამცხე და მრავალი ბოროტი შეამთხვა და შემდგომად ამისსა შემოიცა და წარმოვიდა“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 371).

ჩვენ აქ აღარ შევუდგებით დედისიმედის მოდგაწეობის შეფასებას, ვინაიდან იგი სცილდება ჩვენი კვლევის სფეროს, მაგრამ დავსძენთ, რომ დედისიმედის ხასიათმა და ქმედებებმა

ხელი შეუწყო სამოქალაქო დაპირსპირებას სამცხეში. რაც შეეხება დედისიმედის მოღვაწეობას სამცხეში, მასზე საინტერესო სტატია გამოქვეყნებული აქვს მკლევარ ელდარ მამის-თვალიშვილს „პატრონობდა დედისიმედი სამცხე“ (XVI ს-ის სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან) (ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IX თბ., 2009).

როგორც ბერი ეგრი ეგრატაშვილი და ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავენ, ამ ამბების შემდეგ გარკვეული კონსენსუსი მომხდარა ირანსა და ოსმალეთს შორის. კერძოდ, აქ საუბარია ტერიტორიულ გადანაწილებაზე. „მაშინ გაუგზავნა კაცი სულტანსა ოსმალისასა და მიუწერა ესრეთ: „ვყოთ მშვიდობა ურთიერთას, რამეთუ სჯულითა ვართ მოსავნი მაჰმადისანი“, რამეთუ მაშინ ბრძოლა იყო მათ შორის. უსმინა სულტანმან და შერიგდნენ. მაშინ განაგეს ქაფანანი და დარჩა სულტანს იმერეთი, ოდიში, გურია, ზემო ქართლი საზღვრამდე ქართლისა,, ხოლო შაჰ-თამაზს დაუგდო ქართლი, კახეთი, ერვანი... და მშვიდობა ჰყენს ურთიერთას...“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 371). მოყვანილი ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ მთელი სამცხე-საათაბაგო (ზემო ქართლი) „საზღვრამდე ქართლისა“ ოსმალეთს დარჩა, რაც პრინციპულად ეწინააღმდეგება ამასის (1555 წ.) ზავის პირობებს. ამ ზავის თანახმად სამცხე-საათაბაგო ირან-ოსმალეთმა თანაბრად გაიყვეს. ჩვენთვის საინტერესო მხარე სამცხე ამ შემთხვევაში ირანის გავლენის სფეროში მოექცა. ბოლო მოლაპარაკების დროს კი ეს მხარეც ოსმალეთს ერგო. ფაქტობრივად, ეს მოასწავებდა ამისის ზავის ანულირებას, რაც საეჭვოდ გვეჩვენება. მაგრამ, თუ მოვლენებს გავუსწრებთ და სამცხეში მიმდინარე შინაფეოდალურ დაპირისპირებას გავანალიზებთ, ამ დროისათვის სამცხეში არსად გვხვდება ირანული გარნიზონი, რაც მხარს უნდა უჭერდეს ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას.

შაჰ-თამაზის სამცხეში ლაშქრობის დროს დედისიმედმა და მის შვილებმა თავი აჭარას შეაფარეს, ხოლო შაჰ-თამაზის უკან გაბრუნების შემდეგ „დედისიმედი და ძენი მისნი მოვიდნენ და დაიკურეს კულად სამცხე“ (ვახუშტი, 1973:719). არც ვახუშტი ბატონიშვილს და არც ბერი ეგნატაშვილს იმის შესახებ არავითარი ცნობა არ მოეპოვება, თუ როგორ მოახერხა დედისიმედმა კვარყვარეს ათაბაგად აღდგენა. ვვიქრობთ, ეს უნდა მომხდარიყო ოსმალებთან მორიგების შედეგად. პროირანული ფეოდალის და შაჰ-თამაზის ცოლისმის მოკვლა დედის-

იმედის მიერ ნოვიერ ნიადაგს ჰქმნიდა ოსმალეთ-სამცხის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. ეს ფაქტი იმაზეც უნდა მიუთითებდეს, რომ სამცხემ საგარეო ორიენტაცია კვლავ ერთხელ შეცვალა შექმნილ ისტორიულ-პოლიტიკურ სიტუაციაში.

1576 წლის 15 მაისს გარდაიცვალა შაპ-თამაზი. 22 მაისს შაპ-თამაზის დატყვევებული ვაჟი ისმაილი ალამუთის ტახტიდან?? გამოიყვანეს და ყაზვინის გზას გაუქმნეს. მართალია მისი სამეფო ტახტზე სელდასმა მოგვიანებით 17 აგვისტოს შედგა, მაგრამ ეს იყო საშინლად სისხლიანი გამეფება. მან პირველ რიგში უმცროსი ძმები დახოცა, შემდეგ ყველა ხანი და სულტანი, ვინც მის კონკურენტ ჰქიდარ-მირზას უჭერდა მხარს, არც ერთი ცოცხალი არ დატოვა (მამისთვალიშვილი, 1977: 114).

სამცხეში შიდაუკოდალური დაპირისპირების მიზეზს არც ბერი ეგნატაშვილი და არც „მესხური დავითნის“ ქრონიკის ავტორი არ ასახელებენ. საომარი ოპერაციების დაწყებას კი ორივე წყარო ერთიანად იწყებს.

ცოტა განსხვავებულია ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. აქ აღნიშნულია, რომ ირანელთა ფავორიტმა ვარაზა შალიკაშვილის შეილმა კოკოლამ თხმალეთის სულთანთან დაიწყო ურთიერთობის დალაგება. „არამედ ვარაზას ძემან კოკოლამ და ვიეთთამე მესხთა უწყეს ზრაცუა ხონთქარსა“ (ვახუშტი, 1973: 719).

„ამ ამბის შეტყობის შემდეგ მანუჩარი, ყვარევარე და მათი ბიძაშვილი მუხრანბატონი ერეკლე წამოვიდნენ, მივიდნენ მგელ-ციხეს და იქიდან ირანში, ყაენთან დესპანის გასაგზავნად, თავისი უცოდველობის დასამტკიცებლად და პატიების სათხოვნელად (ვახუშტი, 1973: 719). როგორც ჩანს, მათ უკვე იცოდნენ ირანში სელისუფლების ცელილება და სცადეს ახალ შაპთან ურთიერთობის მოგვარება. ჩანს სამცხის პოლიტიკური მესვეურებისათვის პროტურქული ორიენტაცია მაინც დამაინც არ იყო მისაღები და სცადეს მისი გადახედვა. დედის-იმედის ვაჟებს თან ახლდა სამოცამდე შეიარაღებული პირი. ოლადის ქვაბერიდან იასონ ბედიანისშვილმა ამის შესახებ აცნობა კოკოლა შალიკაშვილს, მის მმას ლაშქარას და მის ბიძას გუგარქს. მათ გარს შემოიკრიბეს ელია დიასამიძის შვილი ავთანდილი, მისი მმა შერმაზანი, ამატაკ და აბდუქაფარ ამატაკისშვილები, მათი მმისშვილი როსტომ და ამატაკის ვაჟი სეხნია. მათ ხუთასამდე კაცი შემოიკრიბეს და ბატონიშვილე-

ბის წინააღმდეგ დაიძრნენ. ამ ამბის მოწმე ჯარასონ ფანას-  
 კერტემლა უგუბოს მყოფ ყანდულარ დოლენჯისშვილს აცნო-  
 ბა, რომელმაც თავის მხრივ ყვარყვარე და მანუჩარი გააფრ-  
 თხილა. ისინიც სამწუბის დელიდან აიყარნენ და ოხერას ცი-  
 ხეს შეაფარეს თავი. როდესაც მეამბოხეები სამწუბის დელეს-  
 თან მივიდნენ, მათ იქ თუხარელების კარავის გარდა არავინ  
 დახვდა. ათაბაგის სახლმა ჯარის შეკრება დაიწყო. ამის შემ-  
 დეგ ისინი თმოგვს მიუხდნენ და ციხე-ქალაქი აიღეს. იქიდან  
 ზედა თმოგვს ავიდნენ, სადაც მათი დედა დედისიმედ-უფლილი  
 დებორა იქ მოვიდა. როგორც ჩანს, ქაიხოსრო ათაბაგის გარ-  
 დაცვალების შემდეგ შემონაზვნებული ქვრივი დედისიმედი-დე-  
 ბორა კვლავ დაუბრუხდა საერო ცხოვრებას და აქტიურად  
 ჩაერთო ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში. შემდეგ ბატონიშ-  
 ვილებმა აიღეს ვანის ქვაბები, ოლადის ქვაბები და კარწახს  
 მივიდნენ და დადგნენ. 19 ივლისს ფოსოს მიუხდნენ და გადა-  
 წვეს. ბოლოს თეთრ-ციხის გარშემო ალბუტი და კამაროანი  
 მოახრეს და შაპთან ელჩი გაგზავნეს (შარაშიძე, 1961:44). 28  
 ივლისს შაბათ დღეს შალიკაშვილებმა მათი ნაქონები თოის  
 ციხე კვლავ დაიბრუნეს. ამასობაში ოსმალებიც შემოიჭრნენ  
 სამცხის ტერიტორიაზე. ბატონიშვილებმა მათ წინააღმდეგ  
 გაილაშქრეს მგელციხეს, შერმანიანთ წყაროზე დადგნენ და  
 ამის შემდეგ აწყურს ჩავიდნენ (შარაშიძე, 1961:45). 31 აგვისტოს  
 ამბოხებულებმა დალატით ვარქეთის ციხე დაიკავეს. 4 სექტემ-  
 ბერს დიასამიქემ დემორის ციხის ასაღებად აზნაურიშვილები  
 გაგზავნა, მაგრამ უშედეგოდ დასრულდა ეს ოპერაცია. პირი-  
 ქით, ციხისთავმა შალვაშვილმა 17 მომხვდური ტყვედ აიყვანა.  
 24 ოქტომბერს არჩილ მუხრანბატონი შირაზიდან ყიზვის მი-  
 ვიდა ცოლშვილიანად. ამავე დროს ათაბაგის მომხრეებმა ფო-  
 სო ააოხრეს, შაპთან ელჩი გაგზავნეს. როგორც ვხედავთ, ათა-  
 ბაგის სახლის წევრებმა ივლისის შემდეგ უკვე ოქტომბერში  
 მეორე ელჩობა გაგზავნეს შაპის კარზე. ვფიქრობთ, მათ  
 ირანში შაპის კარზე ლობისტებიც უნდა ჰყოლოდათ. ასეთუ-  
 ბად ჩვენ მიგვაჩნია ჯერ კიდევ 1573 წელს ყაზინში წასული  
 ათაბაგის სახლის წევრი თვალმშენიერი და მათივე ბიძა  
 არჩილ მუხრანბატონი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ერთი  
 გარემოებაც, რომ შაპ-თამაზის მიერ შერისხული პირები, ახ-  
 ლა უკვე შაპ-ისმაილ II-ის კარზე ამნისტირებულნი უნდა  
 ყოფილიყვნენ.

შიდაფეოდალური დაპირისპირება სამცხეში მომდევნო 1577 წელსაც გაგრძელდა. ამ წლის მარტში კოკოლა შალიგაშვილმა აჩხიის ქვაბები დაიკავა, მაგრამ მანუჩარმა სწრაფად დაიბრუნა ეს ქვაბები, რომელსაც ერეკლე მუხრანბატონი თან ახლდა. ამ ამბების შემდეგ კოკოლას განუდგა ბიძამისი გუგარქი და მანუჩართან მივიდა, თან ქაჯისციხეც გადასცა. შემდეგ გუგარქმა ფიცი გატეხა და კვლავ განუდგა მანუჩარს. ბატონიშვილმა ეს განდგომა ფოსოს დარბევით აღნიშნა. ელჩი გაისტუმრა და უკან მობრუნდა (შარაშიძე, 1961: 45). როგორც ჩანს, იმ წინა ორი ელჩობის შემდეგ ირანში, საპასუხო ელჩიც მოსულა სამცხეში. მაგრამ რაზე იყო საუბარი, ამაზე არც ერთი ქართული წყარო ცნობებს არ გვაძლევს. იმავე წლის სექტემბრის შუა რიცხვებში ათაბაგის მომხრეებმა ქაჯის ციხეზე გაილაშქრეს. 2 ოქტომბერს გუგარქი კვლავ შეურიგდა ჯაყელებს და ველი გადასცა. ამის შემდეგ ჯაყელები გამობრუნდნენ და კოკოლას ხელო მყოფი ურთის ციხე დაარბიეს, ფოსო აიალატეს, ყაქნთა ელჩი გააგზავნეს და მგელციხეს მივიღნენ (შარაშიძე, 1961: 46). აქვე მოვიღნენ მანუჩარი და ყვარყვარე, ხოლო დედისიმედი ახალციხეს წავიდა.

17 დეკემბერს სამცხეს შაპ-ისმაილ II-ის გარდაცვალების ამბავი მოვიდა. ჯაყელებმა ეს არ დაიჯერეს და ელჩი გაუგზავნეს თვალმშენიერს. 28 დეკემბერს ირანიდან თვალმშენიერის ელჩი მოვიდა, რომელმაც დაადასტურა შაპ-ისმაილის სიკვდილი. იგი 1577 წლის 23 ნოემბერს გარდაიცვალა. 31 დეკემბერს ყვარყვარე და მანუჩარი თმოგვს შემოადგნენ, ხოლო 1578 წლის 5 იანვარს დედისიმედმა და ბექამ ყველის ციხეს აღყარ შემოარტყეს. 8 იანვარს ორივე ციხე დაეცა და ჯაყელებმა დაიგავეს. ამ ამბების შემდეგ საომარ ოპერაციაში კოკოლამ სპარსელებიც ჩართო და სარდალი ყარახანი მოიწვია. ისინი ერთად თმოგვზე წავიდნენ, მაგრამ თმოგვი უკვე აღებული დახვდა ჯაყელთაგან. ამის შემდეგ მანუჩარმა კიდევ ერთხელ მოარბია ფოსო და ჯავახეთი და მოკავშირე გუგარქს ქაჯისციხეში ძღვენი გაუგზავნა (შარაშიძე, 1961: 47), დედისიმედმა თმოგვის ციხეში სურსათ-სანოვაგე შეატანინა და იქ დადგა. აქედან თვალმშენიერთან ყაზვინში ელჩი გაგზავნა, ციხეების დაჭერა და ურუმთა აშლა აცნობა (შარაშიძე, 1961: 47), რაც თავისთავად ირან-ოსმალეთის ახალი ომის დაწყებას ნიშნავდა. გარდა ქართული წყაროსი, აღნიშნული ცნობა დაცული აქვს იტალიურ მოგზაურს ანონიმ ვენეციელს.

1577 წლის ბოლოს სულთანმა მურად III გადაწყვიტა დაეწყო მოი ირანის წინააღმდეგ. 1578 წლის 2 იანვარს მან ჯარის სარდლობა მიანდო ლალა მუსტაფა ფაშას და არზრუმის გზით გალაშერება უბრძანა. ანონიმი ვენეციელის თქმით, სარდალს დაევალა „შირვანის სამეფო და სპარსელების მეგობარი ქართველების პროვინციები დაეპყრო“ (მამისთვალიშვილი, 1987: 18).

თუ გადავხედავთ ამასის ზაფის შემდგომ პერიოდს, აშკარად დავინახავთ, თუ როგორი წინააღმდეგობები დარჩა ირანსა და ოსმალეთს შორის დაზავების შემდეგაც საქართველოს საკითხთან დაკავშირებით. მართალია, ამ ეტაპზე ორივე დამპყრობელი (ირან-ოსმალეთი) ერთნაირად მიუღებელი იყო, თუმცა ცხადია, რომ თუ ირან-ოსმალეთის მეორე ომის დაწყებამდე ქართლ-კახეთის პოლიტიკოსები ოსმალეთისკენ უფრო იხრებოდნენ, სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური მესვეურები ისევ ირანისკენ იხრებოდნენ.

ოსმალთა ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე შეიჭრა. „მესხური მატიანეს“ ქრონიკის მიხედვით, პირველი ციხე, რომელიც ოსმალებს საათაბაგოს ტერიტორიაზე შეხვდა, იყო მგელციხე. ციხის მცველებმა როინ და ბერი გოგორიშვილების ხელმძღვანელობით დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მომხედურთ, მაგრამ ბოლოს მაინც აიღეს. 8 აგვისტოს დაიპყრეს კოკოლა შალიკაშვილის მამულები. ოსმალების ინტერესი შალიკაშვილის მამულებისადმი, როგორც ამას მკვლევარი ე. მამისთვალიშვილი აღნიშნავს „განპირობებული უნდა ყოფილიყო შაჰის კართან მათი სიახლოეთ“ (მამისთვალიშვილი, 2009: 190). ამის შემდეგ ოსმალებმა დაიკავეს ვალე, ახნის ქაბები, თმოგვი, ხერთვისი, ჩილდირი, ახალქალაქი, ენი-კალი (ახალციხე - რ.გ.).

ყველა ქართული წყარო, „მესხური მატიანე“, ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი გვაწვდიან ცნობებს, თითქოს 10 აგვისტოს „პატრონი მანუჩარ ქაჯის ციხეს შეეკარა, ვერც ლაშქარის ომსა და ვერც ციხეების აღებას ვერ მოესწრა“ (შარაშიძე, 1961: 48), (ვახუშტი, 1973: 722). სინამდვილეში კი, ამ დროს 10 აგვისტოს ჩილდირის ბრძოლის შემდეგ მანუჩარი უკვე ლალა-მუსტაფა ფაშას ბანაკშია (ნარკვევები, 1973: 128). მანუჩარმა პირველმა გადადგა ნაბიჯი ოსმალებთან მორიგებისაკენ. მას კვალდაკვალ მიჰყენენ ამილახორიშვილები, ამატაგიშვილები, დიასამიძეები და სხვანი. ე.ი. სამცხე-საათაბაგოს საგარეო ვექტორი კვლავ ოსმალეთის სასარგებლოდ შეიცვალა.

დასკვნა. ამრიგად, ვარაზა შალიკაშვილის მკვლელობისა და სამცხეში შაპ-თამაზის ლაშქრობის შედეგად აჭარას თავშეუვარებულმა ათაბაგის სახლის წევრებმა ოსმალების თანხმობით მაინც მოახერხეს ათაბაგის ტახტის დაკავება. მიუხედავად ამისა, შაპ-თამაზის სიკვდილის შემდეგ სამცხის პოლიტიკური მესვეურებისთვის პროირანული პოლიტიკური ორიენტაცია დღის წესრიგიდან არ მოხსნილა, რაც ნათლად გამოჩნდა სამცხეში შიდაფეოდალური დაპირისპირების დროს, როდესაც ათაბაგის სახლმა რამდენიმე ელჩობა განახორციელა შაპის კარზე. ირან-ოსმალეთის ახალი ომის დაწყებისა და ოსმალეთის მძლავრობის შედეგად ათაბაგის სახლი იძულებული გახდა პროთურქული ორიენტაცია აედო, რასაც მოვლენათა განვითარების შედეგად მოჰყვა პროირანულით ჩანაცვლება.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ტივაძე, 1947: ტივაძე გ., სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური გითარება XVI საუკუნეში, ქურნალი „მნათობი“ 10, ობ., 1947.
2. ქართლის ცხოვრება, 1959 - ქართლის ცხოვრება, ტ. II, ობ., 1959.
3. შარაშიძე, 1961 - შარაშიძე ქრ., სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.) ობ., 1961.
4. ვახუშტი, 1973 - ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ობ., 1973.
5. მამისოვალიშვილი, 2009 - ელ. მამისოვალიშვილი, სტატიის სახელწოდება, „მაცნე“, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IX ობ., 2009.
6. მამისოვალიშვილი, 1977 - ელ. მამისოვალიშვილი, სტატიის სახელწოდება, „მაცნე“, ისტორიის სერია 4, ობ., 1977.
7. მამისოვალიშვილი, 2009 - ელ. მამისოვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია I (XV-XVI სს.), ობ., 2009.
8. ნარკვევები, 1973 - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, ობ., 1973.